# სახალხო გაზეთი

№ 966 კვირა, 11 აგვისტო 1913 წ. № 966

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

**ტელეფონი №12-29**

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ტფილისი

## სახალხო გაზეთი

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი აგვისტოდან წლის დამლევამდი, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **3 მ. 75 კ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо гавети" Почт. ящ. 190.

---

## ახალი კლუბი

**(საზაფხულო სადგომი)**

**კვირას, 11 აგვისტოს,**

## საუმანწვილო საღამო

დასაწყისი საღამოს 5 საათზე. სეირნობა თავდება საღამოს 9 საათზე.

სტუმრების ყმაწვილები იხდიან 15 კ. 1402

---

### ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სკოლაში

**სოფელ დიდ-გომარეთში (ბორჩალოს მაზრა),**

## საჭიროა მასწავლებელი

(ვაჟი), ჯამაგირი 300 მან. წელიწადში, ბინა, შეშა და მსახური; სამი წლის სამსახურის შემდეგ მიემატება 60 მანეთი წელიწადში. სასურველია სიმღერა-გალობის მცოდნე. მსურველმა თხოვნა საბუთებით უნდა წარმოადგინოს **ტფილისში** წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში 25 მარიამობისთვემდე. 1428

---



### პირველ-ხარისხოვანი

## დიდი ცირკი

## ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

**დღეს, 11 აგვისტოს, 1913 წ. გაიმართება**

## ორი დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა,

დილით ფას-დაკლებით დიდი წარმოდგენა ბავშვებისათვის და მოწაფეთათვის. დღის თ უფასო სეირნობა ჯორებით და პონებით. დირექცია უფასოთ პატიჟებს თავშესაფარის ბავშვებს მათი აღმზრდელებით დასაწყისი 2-ნახევარ საათზე. საღამოს სიურპრიზი ტფილისისათვის! დღეს კიდევ ორი ახალი დებიუტი! ვაშა! გამოჩენილნი 4 **ეშმაკნი!** მოწვეულნი არიან კიდევ 15 დღით, რადგანაც ბევრმა ვერ მოასწრო მათი ნახვა. პირველი დებიუტი გამოჩენილ ჯამბაზებისა ზევით ამსროლ ფიცრით ოჯახი **დელა კაზო.** ჰაერში მფრინავ მანქანით ყირამალა ფრენა **ბ. ნიკოლინისა.** გამოსვლა მოჯირითე ქალის ქ-ნ **თამარასი.** გამოსვლა მუსიკალურ-ექსცენტრიკებისა **ბ-ნნ ბროკარსების** და საყვარელ მასხარების **ძმ. ვინჩეცოვებისა.** დღეს კონტრამარკები არ გამოიცემა.

**დასაწყისი საღამოს 8 ნახევ საათზე.**

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 541. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

---

## ქუთაისის ქართული გიმნაზია

აცხადებს, რომ მდგომარე წლის სექტემბრისათვის

### თავისუფალი ვაკანსია მოიპოვება

**მხოლოდ მოსამზადებელი კლასის 1-ლსა და 2-ე განყოფილებაში.**

თხოვნა და საჭირო დოკუმენტები (მეტრიკული, წოდებისა და ყვავილის აცრის მოწმობები) უნდა წარმოადგინონ 20 აგვისტომდე. მისაღებ მოსწავლეთა გამოცდა დანიშნულია 28 აგვისტოსათვის.

ხელახალი გამოცდა დაიწყება 26 აგვისტოდან.

გიმნაზიის გამგის მაგიერ **ს. ხუნდაძე.**

1421 საქმის მწარმოებლის მაგიერ **ლ. ჯაფარიძე.**

---

## საფერშლო სკოლა

**ტფილისის მიხეილის სახელობის საავადმყოფოსთან არსებული** სკოლის უფროსი აცხადებს, რომ სკოლაში შემოსვლისათვის თხოვნების შემოტანის ვადა თავდება 20 აგვისტოს. ხელმეორედ გამოცდა დანიშნულია 22, 23 და 24 აგვისტოსათვის, მისაღები და გაჯიბრებითი

## გამოცდა დანიშნულია 26, 27, 28 და 31 აგვისტოსათვის.

მიღება შეიძლება მხოლოდ პირველ კლასში, დანარჩენ კლასებში-კი, ადგილის უქონლობის გამო, მიღება არ მოხდება. გამოცდა დაიწყება დილის 8 საათზე. 1427

---

### ტფილისის ქართული გიმნაზიის

## დირექტორი

აცხადებს, რომ თანახმად გამგე-კომიტეტის დადგენილებისა, ამ წლის 1 ენკენისთვიდან ვაჟთა გიმნაზიაში და ქალთა სასწავლებელში სწავლის ფასად დაწესდა **მოსამზადებელს** კლასებში **ოთხი** თუმანი წლიურად, ნაცვლად სამის თუმნისა, და **საგიმნაზიო** კლასებში **ხუთი** თუმანი წლიურად, ნაცვლად ოთხის თუმნისა. მომავალის 1914 წ. 1 ენკენისთვიდან კი მე-V, მე-VI, მე-VII, მე-VIII კლასებში დაწესდება წლიურ გადასახადად **ექვსი** თუმანი. 1397.

---

## მუშტაიდის ბაღში

**შაბათს 10 აგვისტოს, კვირას 11 და ორშაბათს 12 აგვისტოს,**

### ხარფუხის ქართულ სახალ. წარმოდგ. მმართველი წრის თანხის გასაძლიერებლად

გაიმართება **დიდი სეირნობა**

დიდი და მეტად **საინტერესო პროგრამით.** ბაღში უკრავს სიმებიანი ორკესტრის 2 ხორო. **შესვლა უფასოა. უფასო სინემატოგრაფი.**

დასაწყისი საღამო 5 ს. დაწვრილებით აფიშებში.

543 გამგე **გ. მ. შათირიშვილი.**

---

### გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

### ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული

## მეიროვინი

### ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით კ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

---

## ლევანდოვსკის პროგიმნაზია

**სახაზინო ვაჟთა 6-კლას. პროგიმნაზ. უფლებით. ქალ.-ვაჟთა ერთად სწავლება.**

გუნიბის ქუჩა, № 10.

ახლად შესვლის მსურველთათვის გამოცდა მოხდება **2 და 3 სექტემბერს,** განმეორებით გამოცდა 4 სექტემბერს, გამოცდა დაიწყება დილის 9 საათ. პარაკლისი და სწავლის დაწყება 5 სექტემბერს 8-ნახ. საათზე. ყველა კომისიათა მასწავლებლების კრება მოხდება 1 სექტემბერს საღამოს 7 საათზე. თხოვნის მიღება და ცნობების მიცემა დაიწყება 8 აგვისტოს და მოხდება მხოლოდ არა უქმე დღეს დილის 10—12 ს. და საღამოს 6—8 ს. პროგიმნაზიაში შესვლის მსურ ველთა საბუთები შემოტანილ უნდა იქმნეს 30 აგვისტომდე. 548

---

## მელეულობის საწყობი

## ,,ს. მ. კირაკოზოვის და გ. გ. ოგანოვის" ამხ.

სომხების ბაზარი, მანთაშევის ქარვასლიდან **გადატანილია** იქვე გვერდით, იმავე შენობაში.

747

---

## ხაშურის (მიხაილოვო)

## 6-კლასიანი სავაჭრო პროგიმნაზია

უფლებიანი მოსწავლეთათვის, აცხადებს, რომ

შეგირდების გამოცდა და მიღება პროგიმნაზის ყველა კლასებში **დანიშნულია 20 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.** 1426

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევგის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოა.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606''და ,,914'' **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1035

---

## ავლაბრის ქართულ სახ. წარმოდგენების მმართ. წრის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ავლაბრის სახალხო თეატრში

## წლიური საზოგადო კრების

გაგრძელება მოხდება კვირას, 11 აგვისტოს 1913 წ. დილის 11 საათზე. 540.

---

## ახალი კლუბი

(საზაფხ. შენობა)

**კვირას, 11 აგვისტოს 1913 წ.**

## საოჯახო საღამო

სინემატოგრაფი ს. ო. ივანიცკისა განსაკუთრებულ საუცხოვოდ შედგენილ პროგრამით

სინემატოგრაფის შემდეგ—**ცეკვა**

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს: მამაკაცნი—1 მან., მანდილოსანნი—50 კ., სტუდენტები – 25 კ. 1402.

---

## ახალი წიგნის მაღაზია

### კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

## უდიდესი წიგნის მაღაზია

**კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.**

ახალ მაღაზიის შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიის სურს შეამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

---

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

### შემდეგი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| თხზულ. აკაკისა | ტ. 1, | 1 მ. |
| ,, ,, | ტ. 2-ე, | 1 მ. |
| ,, ალ. ყაზბეგისა | | 3 მ. 50 კ. |
| ,, რ. ერისთავისა | ტ. 1, | 1 მ. |
| ,, ,, | ტ. 2-ე, | 40 კ. |
| ,, შ. არაგვისპირელისა | წ. 1, | 50 ,, |
| ,, ,, | წ. 2-ე, | 40 ,, |
| ,, ,, | წ. 3-ე, | 40 ,, |
| ,, ,, | წ. 4-ე, | 50 ,, |
| ,, ,, შიო თავადი, | | 60 ,, |
| ,, დ. კლდიაშვილისა | ტ. 1, | 75 ,, |
| ,, ,, | ტ. 2-ე, | 75 ,, |
| ,, გ. წერეთლისა | ტ. 1, | 60 ,, |
| ,, ,, | ტ. 2-ე, | 60 ,, |
| ,, ეკ. გაბაშვილისა | ტ. 1, | 1—20 ,, |
| ,, დ. მეგრელისა | ტ. 1, | 70 ,, |
| ,, ,, | ტ. 2-ე, | 70 ,, |

**ახლად მიღებული წიგნები:**

| | |
|---|---|
| როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოებდეს წვრილი კრედ. დაწესებულება, ა. მ. კახელაძისა | 10 ,, |
| ვეფხის-ტყაოსნის შედგენილობა, დ. კარიჭაშვილისა, | 5 ,, |
| ძველი საქართველო | 4 მ.— ,, |
| Изъ лингвист. поѣздки въ Абхазiю, Марра, | 50 ,, |
| Очерки по этнологiи Кавказа, Чурсина | 60 ,, |

**სარგის კაკაბაძე.**

| | |
|---|---|
| ბაგრატ მეფე, მე-15 ს. რაჭა-არაგვეთის მფლობელი, | 10 ,, |
| ბაგრატ უცნობი მე-14 საუკ. რაჭა-არაგვეთის მფლობელი | 10 ,, |
| სიგელი ქართლის მეფე კონსტანტინესი, 1488 წ. | 10 ,, |
| ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი? | 20 ,, |
| მე-13 საუკ. პირვ.-ნახევრის საქართველოს კათალიკოზები | 10 ,, |
| თმოგველთა გვარის ისტორიისათვის | 15 ,, |
| დავით აღმაშენ, შემატიანის ვინაობა | 10 ,, |
| სამართ. კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო, | 10 ,, |
| ძეგლის დადება გიორგ. ბრწყ. მიერ | 20 ,, |
| თ. ავგადასავალი იესე ოსეს შვილისა | 1—20 ,, |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ხ. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. გ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

## წამლობა ,,606''-ით

1035

---

### ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

---

### კბილის

## ექიმი ა. გ. ხოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

---

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

---

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

---

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სატოლსტოო განყოფ. პირდაპირ. 102

---

## სამკურნალო

### სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვაკ. დიდ ქ.-ზე. № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—1½ ს.

**ა. ხუდაბაშევი.** ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—3 ს.

**ბოგუსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**გ. ნ. გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**თაყაიშვილ.** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ექ. ქალ. იოსელიანი.** ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—4 საათ.

**ლიმონი.** კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

**ხაიდაროვი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ტ. ი. რუდენკო.** შინაგან სნეულ. კონსულტანტი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**ა. ა ხოლნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**პონდოევი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

### სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070

# ტფილისი, 11 აგვისტო

**კავკასიის მდგომარეობა და მთავრობის წარმომადგენლის მსჯავრი.**

ყოველთვის, როდესაც კი კავკასიის ადგილობრივ პრესაში ლაპარაკი ჩამოვარდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-სოციალურ მოუწყობლობის შესახებ, მემარჯვენე გაზეთები ათას რამეს გვწამებენ და ქართველთა სეპარატიზმის შესახებ ყურებს გვიჭედავენ. ეს ადვილი ასახსნელიცაა. იმ რუსებს, რომლებიც მხოლოდ კარიერისთვის არიან გადმოხვეწილნი კავკასიაში, ჩვენი ქვეყანა მხოლოდ იმდენად აინტერესებთ, რამდენადაც იგი ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენს. განზრახ არ უნდათ დაინახონ ის, რასაც ყოველი მიუდგომელი მეთვალ-ყურე ერთბაშად დაინახავს. ხანდისხან სურათი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოუწყობლობისა იმდენად თვალსაჩინო ჰხდება, რომ კავკასიის მემარჯვენენიც იძულებული ჰხდებიან აღიარონ ეს მოუწყობლობა. მაგრამ ზომებს კი არავითარს იღებენ. პირიქით, როდესაც კი ადგილობრივ პრესაში აღიძრებოდა ლაპარაკი საერობო თვითმმართველობისა ან უნივერსიტეტის შესახებ, ადგილობრივი მემარჯვენე გაზეთი „გოლოს კავკაზა" მაშინვე ვაი-უშველებელს შეჰქმნიდა, გვიშველეთ, ვიღუპებით, კავკასია ხელიდან გვეცლებაო.

ამ შავრაზმელ ელემენტებს ერთად ერთი აზრი აქვთ შეთვისებული კავკასიის შესახებ: იგი რუს მოხელეთა სათარეშო მოედანია, ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესებზე ზრუნვა არამც თუ საჭიროა, იგი სახელმწიფოებრივ ღალატად არის აღიარებული. სახელმწიფოს მოღალატეა ის მოხელე, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების მოწყობასა სცდილობს და მათს ინტერესებსაც მხედველობაში იღებს.

ამისთანა ატმოსფერაში, რა თქმა უნდა, კავკასიის მოწყობის საქმე წინ კი არა, სულ უკან და უკან მიდის. მეურნეობის ზოგიერთი დარგი ხომ, წინანდელთან შედარებით, პირდაპირ რეგრესს განიცდის. ასეთია კავკასიის მდგომარეობა. ამიტომ, როდესაც ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი თითონ აღნიშნავს ამ ნაკლს, თითონვე ჰკიცხავს მოქმედებას და უკმაყოფილებას გამოსთქვამს კავკასიის მოუწყობლობის შესახებ. ეს ჩვენ აღუნიშვნელი არ უნდა დაგვრჩეს. მიწადმოქმედების მთავარ გამგეობის უფროსი, ა. ვ. კრივოშეინი, როგორც მოგეხსენებათ, კავკასიაში მოგზაურობდა. შედეგი თავისი მოგზაურობისა განსაკუთრებულ მოხსენებაში აღწერა. კრივოშეინი, რა თქმა უნდა, კავკასიას საკოლონიზაციო ინტერესების თვალსაზრისით უცქერის, მაგრამ გზა და გზა გამოსთქვამს მოსაზრებებს, რომლებისთვისაც ჩვენ მემარჯვენენი უსათუოდ ჯვარს გვაცვამდნენ.

უპირველესად ყოვლისა კრივოშეინი აღნიშნავს, რომ გადასახლების პოლიტიკა რაციონალურად არა სწარმოებს. მას არ მოსწონს, რომ რუსეთიდან გადმოსახლებულთ შესჩხირავენ ხოლმე ისეთ ადგილებში, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი მჭიდროდ არიან დასახლებულნი. არ მოსწონს ასეთი პოლიტიკა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთ ადგილებში საზოგადოდ მიწა ცოტაა და ადგილობრივ მკვიდრთაც არა ჰყოფნის და, მეორეც, იწვევს მტრობას რუსებსა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის, რაც კრივოშეინს მავნებლად მიაჩნია „რუსული სახელმწიფოებრივი აზრის განსახორციელებლად". შავი ზღვის სანაპიროები ამ მხრით, კრივოშეინის აზრით, გამოუსადეგარია.

შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ საერთოდ მეურნეობა კავკასიაში პრიმიტიულ მდგომარეობაშია, დაცემულია. უკვირს, რომ მთელ კავკასიაში, მეოურნეობის ამ კლასიკურ ქვეყანაში, არც ერთი საშუალო სამეურნეო სასწავლებელი არ არის. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებასაც, რომ კავკასიაში ძალიან ცუდად არის დაყენებული ირრიგაცია. ყველა ეს რომ მხედველობაში მივიღოთ, თვალ-წინ დაგვიდგება სამწუხარო სურათი გაპარტახებული კავკასიისა. ეს დაინახა პეტერბურგიდან დროებით ჩამოსულმა ადამიანმა. ადვილი წარმოსადგენი იქნება, რანაირ შავ სურათებად გადაიშლებოდა ჩვენი სინამდვილე, უფრო დიდხანსა და ღრმად რომ ჩაჰკვირვებოდა მას. მაშინ უფრო ცხადი გაჰხდებოდა მისთვის, რომ კავკასიის სოციალურ-ეკონომიურ მოწყობაზე არავინა ზრუნავს, რომ იგი, ძოუწყობლობის გამო, ფიზიკურ გადაშენების გზას ადგია.

ისეთი პოლიტიკოსებისთვის, რომლებიც თავის ცხვირს იქით ვეღარაფერს ხედავენ, ადგილობრივ მცხოვრებთა ეს ფიზიკური და სოციალური გადაშენება იქნება საჭიროც იყოს, მაგრამ ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწე ამ მოვლენას გულ-გრილად ვერ შეჰხედავს. ჰხედავენ, მაგრამ საქმით კი არაფერს აკეთებენ. ეს რომ ასე არ იყოს, განა აქამდის კავკასიაში საერობო თვითმმართველობა არ უნდა იყოს? მაგრამ ვინ არის გამგონი?

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

თავ. მეშჩერსკის გაუგია, რომ „ცნობილ" როტმისტრის ტრეშჩენკოს „სამოღვაწეო" ასპარეზ ლენაზე კიდევ არეულობაა. განსაკუთრებული რწმუნებულობით აღჭურვილი ახალი მთავრობა ყოველნაირად სცდის თავის ძალას. ამის გამო თვით „გრაჟდანინიც" კი ჰყვირის „საჭიროა გაძლიერებული ზომების მოსპობაო". „რუსკაია მოლვა" კი სამართლიანად შენიშნავს:

„ეს რეცეპტი წამოყენებულია, რასაკვირველია, მარტო ბოდაიბოსათვის და მის ახლო მდებარე ადგილებისათვის და ასეთი რადიკალური სახსრისაკენ მიმართვა ნაჩვენებია, რასაკვირველია, გასისხლიანებულ მახლობელ წარსულის მოგონებით"

მაგრამ

„თუ ჩაუკვირდებით წარმოდგენილ რეცეპტის შინაარსს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მისი ვარიანტები ჩვენი ცხოვრების ბევრ დასნეულებულ მხარესაც კარგად მოუდგება.

„გაძლიერებულ ზომებს ყველგან შეაქვს მთელი რიგი საშიშროებისა. და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მათი ხასიათი მუდამ ერთი და იგივეა. საქმე უმწვერვალესობამდე მიჰყავთ. პირში გურის იმ ზომამდე სჩრიან ადამიანს, სანამ იგი იძულებული არ გახდება ცოტა ხნის ამოსუნთქვის დროს დაიღრიალოს რაც ძალი და ღონე აქვს. შემდეგ კი საჭიროდ სცნობენ ამ ღრიალის დაფარვას რაიმე სწორედ ოსმალურ „ბარაბანის" საშუალებით."

გაზეთი გადადის, პრესისა, კრებებისა და კავშირების საწინააღმდეგო რეპრესიებზე და დასასრულ დასძენს, რომ, თუ მთავრობას მართლა ჰსურს რუსეთის მშვიდობიანობა, საჭიროა დაუჯეროს თავ. მეშჩერსკის და მართლაც მოხსნას გაძლიერებული ზომები.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **მებაღეობა.** მეფის მოადგილის თანაშემწის აღმასრულებელმა გენერალმა ნ. პ. შატილოვმა საჭიროდ დაინახა, გადაიდოს ბაქოს გუბერნატორის განკარგულებაში 300 მან. ამ ფულით ყუბინის ოლქში, სადაც მეხილეობას მისდევენ, მცხოვრებთ უნდა ასწავლონ ხილის გაშრობა და კონსერვების დამზადება.

◆ **ქალაქის ბაღში** წარსულ ივლისის განმავლობაში მოურეკიათ 8,530 მსხვილ-ფეხა საქონელი, გაუყიდიათ 5.874 სული. ამავ ხნის განმავლობაში მოურეკიათ 25,105 წვრილფეხა საქონელი, გაუყიდიათ 17.314 სული.

◆ **კურსები.** 1 სექტემბრიდან ნავთლუღში, სამხედრო ჰოსპიტალთა ორ წლიანი კურსები განახლდება მოწყალების დათა მოსამზადებლად. იქვე მოაწყობენ ერთწლიან კურსებს ომიანობის დროისთვის სათადარიგო მოწყალების დათა მოსამზადებლად.

◆ **სეტყვასთან ბრძოლა.** 9 აგვისტოს, ნაშუადღევის 5 საათზე, საბაღოსნო სასწავლებლის ბაღში გამოსცადეს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ გამოწერილი სეტყვასთან საბრძოლველი შუშხუნები, რომელსაც ამ ბოლო ხანს საზღვარ გარედ, განსაკუთრებით საფრანგეთში, ხმარობენ. გამოცდას დაესწრნენ სამეურნეო და მეხილეობის საზოგადოებათა წარმომადგენელნი, სოფლის მეურნენი საბაღოსნო სკოლის გამგე პ. გ. მელია და სხვანი. შუშხუნა აუშვეს ოთხჯერ. გამოირკვა, რომ სეტყვასთან ბრძოლა ამ შუშხუნების საშუალებით შეიძლება ერთის ვერსის მანძილზე.

◆ **ბოროტ-მოქმედებათა რიცხვი.** განვლილ ივლისში ტფილისში 105 ბოროტ-მოქმედება მომხდარა, რომლის გამოც ბოროტ-მოქმედების ადგილას 93 დამნაშავე შეუპყრიათ.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.** ქალაქის გამგეობამ საბოლოოდ შეადგინა ქალაქის 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი. ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 3.407,057 მან. 78 კ. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა იყო 3.128,624 მან. 25 კაპ., ე. ი. 278,434 მ. 53 კაპიკ. ნაკლები 1914 წ.

◆ **ინგლისელი სტუმრები.** მოკლე ხანში ტფილისს სამეცნიერო აზრით ესტუმრებიან ინგლისელი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი, რიცხვით ექვსი კაცი.

◆ **ქალაქის მოურავის მოადგილე** თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ავად გახდა. მის თანამდებობის აღსრულებას ქალაქის გამგეობის წევრი თ-დი ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი შეუდგა.

◆ **ხილეულობის მეორე გამოფენა-იარმუკაში** ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაც მიიღებს მონაწილეობას. საზოგადოებას, სხვათა შორის, აზრად აქვს, გამოფენის დროს გორის მაზრის მეხილეთა თათბირიც მოიწვიოს.

◆ 9 აგვისტოს ტფილისის მოქალაქე გ. ი. გოცირიძე იმყოფებოდა მარტინოვის ქუჩაზე, სადაც თავის სახლს აშენებდა. გოცირიძე შემდგარა დროებით გაკეთებულ ქერზე და მესამე სართულიდან სარდაფში ჩავარდნილა. ძლიერ დაშავებული გოცირიძე მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ **საგუბერნიო ციხის უფროსი რიმკევიჩი** ამ თვის ბოლოს პეტერბურგს მიემგზავრება სრულიად რუსეთის ციხის უფროსთა კრებაში მონაწილეობის მისაღებად.

◆ **საბირჟო ცნობები.** 10 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5⁰/₀ ობლიგაციებისა: აფასებდნენ—85 მან. 10 კ., აძლევდნენ—84 მან. 45 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5⁰/₀ გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—83 მან. 20 კ., აძლევდნენ—82 მან. 65 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5⁰/₀ გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—79 მან. 75 კაპ., აძლევდნენ—78 მან. 50 კაპ., სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—484 მ. 50 კაპ., მეორისა—353 მან., 50 კაპ. და მესამისა—314 მან.

◆ 9 აგვისტოს გუნიბის ქუჩაზე ს. № 44 გ. ნ. ღოღაბერიძის ბინაში შესულა ბოროტ-გამზრახველი და ორი შარვალი მოუპარავს, ამ დროს ღოღაბერიძეს ქურდი შეუნიშნავს გამოჰკიდებია და რევოლვერი უსვრია, მაგრამ არ გავარდნილა და ქურდი მიმალულა. პოლიციელებს ქურდისაგან მოპარული შარვლები უპოვნიათ და ეჭვით დაუჭერიათ კარაპეტ თუმანოვი, რომელმაც ქურდობაზე უარი სთქვა.

### საზოგადოებანი და კრებები

◆ **ავლაბარში ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის** წევრთა წლიურ კრების გაგრძელება დანიშნულია დღესთვის, დილის 11 საათზე, ავლაბრის თეატრში.

### სასწავლებლებში

◆ **ახალი სკოლა.** ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება მომავალ სამოსწავლო წლიდან ერთკლასიან სამრევლო სკოლას აარსებს გორის მაზრის სოფელ გუჯარეთში.

◆ **საბაღოსნო სასწავლებელში** შესვლის მსურველნი წელს ბლომად არიან. სასწავლებლის გამგეს ამ ჟამად ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა კუთხიდან ეკითხებიან: რამდენი თავისუფალი ადგილია, რა წესდებით არსებობს სკოლა და რა პროგრამით სწარმოებს სწავლა. სასწავლებლის გამგე ყველა დაინტერესებულ პირსა და საზოგადოებას დაწვრილებით პასუხს აძლევს.

### გორი.

◆ ეს რამდენიმე დღეა ქალაქში ვიღაც სულით-ავადმყოფი გაჩნდა. იგი შუახნის კაცია; ტანისამოსს იხდის და შიშველი დაიარება წყლის არხში ტფილისის ქუჩაზე. ყიჟინით უკან დასდევს პაწია ბავშვების მთელი ხროვა და გაოცებული შესცქერის ამ „უცნაურ" ადამიანს. ამბობენ იგი ქართველია, სოფ. მეჯვრის ხევის მცხოვრები, გვარად წკრიალაშვილი, უმუშავნია გორის საკანდიტროებში შემდეგ ტფილისში ჰქნეს საკანდიტროში და ბოლოს ჰკუაზე შემცდარა. საოცარი ის არის, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

### სოფლად.

◆ **სოფ. არხოტი** (პირიქითი ხევსურეთი). ივლისის გასულს ქისტიყაჩაღები მთაში ნახირს დაეცნენ და ცხენები გაირეკეს. ამათ ახორტლების მდევრები დაედევნენ და მიჯნის იქით „ნეთხის მთაში" (ქისტების სოფელია) წამოეწივნენ. ასტყდა სროლა, რომლის დროსაც მოკლულ იქნა ორი ქისტი და რამდენიმე დაიჭრა. არხოტელებისაგან არავინ არ დაჭრილა.

**შეცდომის გასწორება.** „სახალხო გაზეთის" გუშინდელ ნომერში სწერია: წ.-კ. საზოგადოების მთავარი გამგეობა შეუდგა ანგარიშის შედგენასო. კი არ შეუდგა, არამედ **ანგარიში უკვე მზად არის დასაბეჭდად.** იქვე სწერია, ვითომც განყოფილებებში ითვლებოდეს 20040 წევრი; ითვლება მხოლოდ 2040 წევრი.

## დღიური

### გეგმის უქონლობა.

ადამიანს ყოველთვის წინასწარ შემუშავებული გეგმა უნდა ჰქონდეს, მისი ცხოვრება გეგმას უნდა ეთანხმებოდეს, მისი მოქმედება გეგმის თანახმად უნდა სწარმოებდეს. მაშინ მისი მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერია, მისი სიცოცხლე უკეთ მოწყობილი და უზრუნველყოფილი, მისი არსებობა შეგნებულია, სწორედ ასეთი, როგორიც უნდა იყოს გონიერის არსებისა. — შეუგნებელის განუვითარებელის ადამიანის ცხოვრება კი მუდამ შემთხვევაზე, ალალბედზე ჰკიდია; იმას ემორჩილება, რასაც უცაბედი გარემოება მოუტანს, დღეს ერთს ჰფიქრობს და აკეთებს, ხვალ მეორეს, დღევანდელი გაკეთებული ხვალინდელს არ შეესაბამება, ხვალინდელი—მერმინდელს; ხშირად ისეთს გზას დაადგება, რომელიც ოვითონ არ იცის, სად მიიყვანს, მიდის თვალახვეული; არ შეუძლიან აირჩიოს უკეთესი საშუალება, რადგან არა აქვს გამორკვეული მიზანი, მცირედად ჰფიქრობს მომავლისთვის, რადგან იგი რაღაც მძიმე ბურუსითაა შემოსილი. ასეთი კაცის ცხოვრება მუდამ არეულ-დარეულია, ღარიბული, უბედური; ასეთი კაცი უძლურია არსებობის ბრძოლაში.

თუ ამდენად საზარალოა და მავნებელი გეგმის უქონლობა, წინასწარის გეგმის შეუმუშავებლობა კერძო ადამიანისთვის, მით უფრო დამღუპველია ეს საზოგადოების ცხოვრებაში, მთელი ერისათვის. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ჩვენს

## ეკონომისტი—არჩილ ჯორჯაძე

3 *)

ფეოდალურ წეს-წყობილების დასახასიათებლად ისეთი მკაფიოდ გამოთქმული აზრები გავითვალისწინეთ მეორე წერილში, რომ ჩვენ თამამად შეგვეძლო შემდეგი ხანის დახასიათებაზე გადავსულიყავით, რომ ერთ გარემოებას არ შევეჩერებინეთ აქ. ჟურნალი თუ გაზეთი საერთო პრესის ერთი ელემენტია, ის ნაწილია საზოგადოებრივი ხმისა და ჩვენ მას აუცილებლად უნდა გავუწიოთ ანგარიში. მით უმეტეს, როდესაც თვით აზრი, საქმე და ადამიანის მრწამსი ძირითადად არის გაცამახინჯებული.

„კლდე"-ს მეჩვიდმეტე ნომერში, ამ წლის 21 აპრილიდან ბ. დ. კახელის წერილია მოთავსებული: „არჩილ ჯორჯაძე და ხიზნობა". ხიზნობა ძველ ფეოდალურ ცხოვრების ერთი ატრიბუტია, ხიზანთა საკითხი მწარმოებელ ძალთა საკითხია და ამ საკითხზე ჯორჯაძის შეხედულებას ისე ცალმხრივად და ყალბად უხსნის ბ. კახელი საზოგადოებას, რომ თქვენს წინაშე სოციალისტი ჯორჯაძე სრულიად მიჩქმალულ-გაქარწყლებულია, ხოლო გამოყვანილია ხიზანთა ინსტიტუტის დამცველად. მართლა, როგორ ახასიათებდა და არკვევდა ხიზანთა საკითხს არჩილ ჯორჯაძე?

„იმგვარი მფლობელობა მიწისა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, არის უხელო მიწის და უმიწო ხელის ერთმანეთთან მორიგება კეთილ-ნებური, ეკონომიურ ანგარიშზე აშენებული"—ამბობდა ილია ჭავჭავაძე. როგორც ჩვენ ვიცით, ამ შეხედულებას ერთიანად იზიარებს ალ. ყიფშიძე თავის უკანასკნელ წერილებში: „წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობისა". ალ. ყიფშიძეც, მზგავსად ი. ჭავჭავაძისა, აღიარებს: „ხიზნობა ძველადაც, საქართველოში, უწყინარი დაწესებულება ყოფილა და არ წარმოადგენდა არავითარ საფრთხობელას. ისტორიული ცნობანი ისეთნაირად გვიხატავენ ძველ ხიზნობას, რომ უნებლიეთ სოცარი იდილია გიდგება თვალწინ"[1] როგორც ჰხედავთ, ბ. ყიფშიძის იდილიური სურათი და ი. ჭავჭავაძის კეთილ-ნებურობაზე აშენებული ხიზნობა ერთი და იგივეა, მაგრამ ამგვარ შეხედულებას არჩილ ჯორჯაძე სრულებით არ ეთანხმება, რადგანაც ყველამ იცის, რომ ხიზანი მწარმოებელი ძალაა, მშრომელი კაცია და, როგორც ასეთი, არ შეიძლება ბატონყმურ და კაპიტალისტურ კერძო საკუთრების ხანაში არ იყოს დაჩაგრული. ამიტომ არჩ. ჯორჯაძე მეტად მარტივად ახასიათებს და მიწასთან ასწორებს ხიზანთა მდგომარეობის იდილიას. „აქ—ამბობს ჭავჭავაძის შეხედულებაზე ჯორჯაძე—ღირსშესანიშნავი სიტყვაა „კეთილ-ნებური". ჩვენის აზრით, „კეთილ-ნებურზედ" ლაპარაკი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც ორივე მხარე, ვინც ხელშეკრულობასა სდებს, თანაბარ და ერთგვარ პირობებში იმყოფება. წინააღმდეგ შემთხვევაში სუსტი მხარე ყოველთვის დაემორჩილება ღონიერ მხარეს წინადადებას და მით ხელშეკრულობის „კეთილნებური" ხასიათიც დაიკარგება. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამოდიან მოპირდაპირენი ეგრედ წოდებულ ბურჟუაზიულ ვითომ „შრომის თავისუფლების" პრინციპისა — (liberté du travail). თავისუფლებაზედ დ კეთილნებობაზედ შეუძლებელია ლაპარაკი იქ, სადაც მუშა ხალხი—გლეხია იგი, ხიზანი თუ ქარხნის მწარმოებელი—იძულებულია დაემორჩილოს კანონის და ადათის წინადადებას, იმ კანონის და ადათის, რომელიც ეკონომიურ უთანასწორობაზეა აგებული"[2]. და ჭავჭავაძის შეხედულებას, რაც არსებითად ითქმის ყიფშიძის აზრებზედაც ამ საგანზე, ჯორჯაძე ბურჟუაზიულ შეხედულებად ნათლავს (იქვე), რადგან ხიზანი—როგორც მწარმოებელი ძალა მუდამ დაჩაგრულია და ამ გარემოების გადაფუჩეჩება სინამდვილის უარყოფაა. შეუძლებელია მაჯის კაცი იყოს თანამედროვე პირობებში კარგ მდგომარეობაში და ამიტომ არჩილი გარკვევით ამბობს: გლეხების სხვა კატეგორიებიდან არაფრით განირჩევა „ხიზანიც, რადგან ისიც (ხიზანიც) არის „მაჯის პატრონი" და „გარჯის გამძღოლიო"[3]. ამისი თქმა არჩილს კარგად ესმოდა, რასაც ნიშნავდა და ამიტომ მეორე ალაგას ამავე საგნის შესახებ თავის პოზიციაზე იგი ამბობს: „აქ ჩვენ დემოკრატიულ პრინციპს[4] სოციალისტურ პრინციპს ვუპირისპირებთო"[5].

ახლა კი „კლდე"-ში გამოსულა ბ. დ. კახელი და ჯორჯაძის შეხედულების ამ მხარეს ხიზნობაზე ერთიანად უმალავს მკითხველ საზოგადოებას და არკვევს ჯორჯაძის შეხედულებას ხიზნობაზე ისე, თითქოს ჯორჯაძე ხიზანთა საკითხს ერთიანად ოსების იმიგრაციით ხსნიდეს. ნამდვილად კი ასეთი აზრების ჯორჯაძის აზრებად აღიარება მართალი არ იქნება, რადგანაც ჯორჯაძე ხიზნობას სათანადოთ აფასებდა ოსების იმიგრაციის გარეშე. **საზოგადოდ** და ხიზნობის—როგორც წოდებრიობის ატრიბუტის—მოსპობას ის მუდამ მხარში ედგა. აქ ის პირდაპირ აღიარებს: ჩემი პრინციპი სოციალისტურიაო. ხოლო, რაც შეეხება საგანგებოდ ოსი გლეხების ჩამოსახლებას ხიზნებად ქართლში, ეს ჯორჯაძეს ძლიერ კარგად ესმოდა რასაც ნიშნავდა. ამ ფაქტში ის უმთავრესად მემამულეთა ჯიბის ინტერესებს ხედავდა და საკვირველია რად იკადრა ბ. დ. კახელმა ამ ფაქტის დამალვა მკითხველ საზოგადოების წინაშე. არჩილი კი—სწორედ იმ ალაგას, რომელსაც ყალბად იყენებს კახელი ძლიერ გასაგებად ამბობდა, რომ „სოფელ ყორნისში ამ ორმოცდა ათი წლის წინად 7 კომლი ხიზანი იდგა, დღეს **მემამულეთა მეცადინეობით** 120 კომლი ხიზანი სცხოვრობსო"[6]. ხოლო კიდევ ქვევით, ჯორჯაძე ამ ამბის გადმომცემ კორესპონდენტს ეთანხმება, რომელიც ამბობს, რომ ხიზნად ოსი გლეხები აიყვანეს **„მემამულეებმა თრიოდე გროშისათვისო"**[7].

ამით ჩვენ შეგვიძლიან გავაგრძელოდ ჩვენი საუბარი.

ფეოდალიზმი—როგორც დავინახეთ—არჩ. ჯორჯაძემ დაგვისურათა ეკონომიურ უსამართლოების ნიადაგზე აღმოცენებულ ინსტიტუტად, სადაც საზოგადოების უმცირესობა გაბატონებულია უმრავლესობაზე და ითვისებს ამ უმრავლესობის ნაშრომს. მართალია, ბურჟუაზიული ეკონომისტებიც მკაცრად ეპყრობიან ფეოდალიზმს, ბატონ-ყმობას, მართალია დიდებულმა ადამ სმიტმა სრულიად ახალი ლიბერალური მოძღვება განავითარა და დაჰგმო როგორც ძველი ფეოდალური ცხოვრების წესები, ისე იმ ხანის მოძღვრებანიც (მერკანტილიზმ-ფიზიოკრატიზმი), მაგრამ ად. სმიტის დაფასება ფეოდალიზმისა სულ სხვა ხასიათის და ძალის იყო, ვინემ ჯორჯაძისა. სმიტი გამოდიოდა კაპიტალის ინტერესებიდან, ხოლო ჯორჯაძე—შრომის და ამიტომ უკანასკნელი მოვლენას სოციალიზმის თვალთახედვით არკვევს. აი რაშია განსხვავება. შემდეგ ხანაზე ჯორჯაძემ ლოღიკურად განავითარა თავისი სოციალისტური მსოფლმხედველობა, რასაც ჩვენ ემპირიულ მასალის გადამუშავება აშკარად დაგვანახვებს.

ბატონ-ყმობის დაკნინება თანდათან განვითარდა ჩვენში. ფეოდალობამ—ერთ მეფობის მტრობამ საშინლად დასცა და გაალატაკა ხალხი, აირია შინაური ცხოვრება და საქართველო სხვა მეზობელ სახელმწიფოს დაუმორჩილდა: სპარსეთს და ოსმალეთს. თუ ნამდვილად უძლური მეფე იმდენად გაკადნიერდებოდა, რომ არ იქნებოდა ნამდვილი მონა-მსახური ხსენებულ დესპოტიურ სახელმწიფოებისა, ამ შემთხვევაში, საქართველოს მართლა რომ ჯოჯოხეთის დღეები უდგებოდა; და მართლაც მე-XVIII საუკუნის მიწურულში საქართველო მოწმე გახდა ქართლ-კახეთის და თავის დედა-ქალაქის—ტფილისის—საშინელ აოხრების, ხალხის დარბევა-გაჟლეტისა.

ჩვენ აქ ვერ შეუდგებით ამ ხანის დალაგებით აღწერას, საკმარისია აღვნუსხოთ, რომ მდგომარეობა იმდენად საშინელი დ უბადრუკი შეიქმნა, რომ ქართველობამ ველარ შესძლო დამოუკიდებელ ცხოვრების წარმოება, ხალხს დაეკარგა უნარი დ შეძლება თვით-მართველობისა, თვით-ბატონობისა. დ ამ ნიადაგზე ეროვნულ სახელმწიფოს ნაცვლად გამარჯვების დროშაააფრიალა სპარსეთსა და ოსმალეთზე ძლიერმა—რუსეთის სახელმწიფომ. მოხდა დიდმნიშვნელოვანი აქტი ჩვენს ცხოვრებაში. „ფიზიკურმა ძალამ—გვიხსნის ჯორჯაძე—მოსპო ჩვენში დ მთელს კავკასიაში ფეოდალობა; ეგ დიდმნიშვნელოვანი ფაქტია.[8] რამდენადაც ფეოდალიზმის გამანადგურებელ როლში გამოვიდა ახალი პოლიტიკური ძალა—რაიცა ნიშნავდა პროგრესიულ ერთმეფობის გამარჯვებას—იმდენად ის დიდ საქმეს ასრულებდა; შესაძლებლად ხდიდა ფეოდალიზმში არსებულ ათასნაირ კუთხურ ბაჟების მოსპობას, განუსაზღვრელ გადასახადების მოსპობას და ცხოვრებაში ერთმეფობის დამახასიათებელ სისტემის შემოღებას. მართლაც, პირველ 30 წელში, საქართველოში—რუსეთის მუშაობის უარყოფითი მხარეების გვერდით აუცილებლად უნდა აღინუსხოს დადებითი მხარებიც, რომელნიც მდგომარეობდნენ ბატონ-ყმობის ჩამოყალიბებაში, გლეხთა მოვალეობის გამორკვევაში, ადამიანით ვაჭრობის აკრძალვაში და სხ., რომელთა მეოხებითაც ეკონომიურ აღებ-მიცემობის წარმოება შესაძლებლად ხდებოდა. სტატისტიკური ცნობები გვიმტკიცებენ, რომ ამ ხანაში მართლა ფეხი აიდგა მრეწველობამ, მეურნეობამ და ვაჭრობამ ჩვენში. მართალია ეს ვაჭრობა აღებმიცემობა რამდენათმე გამოწვეული იყო ომიანობით. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ომით გამოწვეული გამარჯვება გამარჯვებულ მხარეს ეკონომიურად ძლიერ ავითარებს. ამას უნდა მივუმატოთ ისიც, რომ ამით ერთიანად განდევნილ იქმნა ხალხი სპარსელთა, ოსმალთა, ლეკთა და სხვა მთიულთა; რომელნიც ზედ-მეტ ბარგად აწვა ჩვენს მწარმოებელ საზოგადოებას.

ამავე დროს, მწარმოებელ ძალების განვითარება ერთის მხრით ომიანობა მეორეს მხრით პირდაპირ მოითხოვდა ჩვენს ქვეყანაშიაც გამოეყენებიათ სტეფენსონის გამოგონება და 1825 წლის ინგლისის ძალა საქართველოში მესამოცე წლებიდან განვითარებინა. რკინის გზას გზა-

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 965.

[1] ალ. ყიფშიძე: „წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობისა".

[2] არჩ. ჯორჯაძე ტ. 2, გვ. 129.

[3] ibid, გვ. 130.

[4] იგულისხმე ბურჟუაზიული.

[5] ჯორჯაძე, ტ. 1 გვ. 115.

[6] ibid, გვ. 49.

[7] იქვე. ხაზი ჩვენია.

[8] ტ I. გვ. 77.

მდგომარეობას, უეჭველად შევნიშნავთ, რომ სრული უგეგმობა, უსისტემობა, წინ დაუხედველობაა გამეფებული თითქმის ყველა ჩვენს საზოგადო დაწესებულებაში და საერთოდ ეროვნულ მისწრაფებაში, ერის ცხოვრების მიდრეკილებაში. მეტად ძნელი იქნებოდა პასუხის მოცემა, ვინმემ რომ იკითხოს: რა არის ქართველი ერის დღევანდელი იდეალი, საითკენ მიილტვის, რის განხორციელება სწადიან? მართალია, ბოლო დროს ჩვენში პოლიტიკური იდეალი ჩაისახა, ჩვენი ხალხის მცირე ნაწილში სოციალური გეგმაც შემუშავდა, მაგრამ ერთიც და მეორეც ან მკრთალია, ან მცირე ადგილი აქვს შემოფარგლული, არ არის ღრმად შესული ცხოვრების გულში, არ დაუმორჩილებია გარშემო მოვლენები.

საერთო ეროვნული გეგმის უქონლობის ბრალია უმთავრესად, რომ უმეტეს შემთხვევაში ჩვენს საზოგადოებებს არ მოეპოვებათ თავის მოღვაწეობის გარკვეული, მტკიცედ განსაზღვრული პლანი; რა უნდა იყოს მათი მუშაობის დედააზრი, ახლობელი მიზანი, რა გზას დაადგნენ, რა საშუალებას მიმართონ—ეს ყოველივე წინდაწინ მოფიქრებული და გამოძიებული კი არაა, არამედ ყოველდღე ხელახლად განსახილველი და დასამტკიცებელი. ამგვარი გამოურკვევლობა იწვევს მუდმივს რყევას და სადაც რყევაა და არა რწმენა, სიმტკიცე, იქ რასაკვირველია უძლურება იქნება, უნაყოფობა. სწორედ გასაოცარია, რომ ასეთს პირობებში ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი კიდევ რასმე აკეთებენ და მთლად არ გამქრალან.

შევჩერდეთ ჩვენს ეროვნულს თვითშეგნებაზე. საკუთარი პიროვნების დაცვა, თავის ღირსების შენარჩუნება, თავმოყვარეობა,—ეს ყოველივე იმდენად საზოგადო ბუნებრივი გრძნობაა, რომ ამის ნიადაგზე სულ ადვილად უნდა აღმოცენდეს განსაზღვრული გეგმა თავის შენახვისა, ამისკენ უნდა იყოს მიმართული მძლავრი ფიქრები, ამას უნდა ემორჩილებოდეს სხვა ყოველივე ზრახვა, ვინაიდგან ყოველი ცოცხალი არსების უპირველესი მოთხოვნილება არსებობის დაცვაა, ეს გრძნობა უძლიერესია. რადგან ერიც არსებობს, მასაც თავისი საკუთარი თავისებური არსებობა აქვს, უნდა ვიგულისხმიეროთ, რომ იგიც შეუდრეკელად, უპირველესად იბრძოლებს თავის არსებობისათვის.

რას ვხედავთ ჩვენში! სიტყვას ბევრს გაიგონებთ ეროვნულ გრძნობებისა და პიროვნების შესახებ, მაგრამ საქმეს კი ცოტას დაინახავთ ეროვნების დასაცავად, გასამაგრებლად, პატივისაცემლად. შემეცნება ქართველი ერისა ქართველ საზოგადოებაში მეტად მკრთალია და ბუნდოვანი. სამშობლოს სახე ჩვენთვის არაა იმდენად ცხადი და ნათელი, რომ სავსებით განვიცდიდეთ მის ყოფნას; სიყვარული მშობელ ერისადმი მრ არის იმდენად ღრმა, რომ საჭირო იყოს გარკვეული გზა სიყვარულის განსახორციელებლად. რაკი ასე უძლურია ეროვნული თვითშეგნება, განცდა ეროვნულის პიროვნებისა, აშკარაა ამ გრძნობისაგან გამოწვეული მოღვაწეობაც იქნება სუსტი, გაუბედავი, უსისტემო, რყეული. ჩვენს ცხოვრებას თუ დავაკვირდებით, მაშინვე შევნიშნავთ, რომ თითქოს ხანდიხან ეროვნულ შეგნებას არა ვართ მოკლებულნი, თითქოს ხმის ამოღებაც შეგვიძლიან შერცხვენისა და დამცირების დროს, მაგრამ გაივლის ცოტა ხანი, გადაავლებთ თვალს სხვა კუთხეს, სხვა დარგს და მოვლენას, და პირდაპირ გაგაოცებთ სრული განდგომა ეროვნებისაგან, სრული უარყოფა თავისი თავისა.

როდესაც საზოგადოებას მტკიცედ აქვს შესისხლხორცებული ეროვნება, რომელიც მისი ფიქრის, გრძნობის, კეთილდღეობის და განვითარების აუცილებელი პირობაა, იგი ამ ეროვნების შეურყევლად უმორჩილებს თავის ცხოვრების ყოველსავე მხარეს—აზროვნებას, ხელოვნებას, ქონებრივს მოღვაწეობას, ოჯახს, საზოგადოებრივობას. მას ნათელი გეგმა აქვს ისე, როგორც ნათლად აქვს შეგნებული თავისი ეროვნული არსებობა. არ ირყევა, არ თრთის, არ ღალატობს, არამედ ერთგულად, მედგრად მიისწრაფვის თავის გეგმის განსახორციელებლად და ამ მისწრაფებაში სასტიკია, შეუბრალებელი, მოურიდებელი, უდრკელი. არ არის მოვლენა მის ცხოვრებაში, რომ ეწინააღმდეგებოდეს ეროვნების დაცვისა და განვითარების საჭიროებას.

ჩვენთვის კი თითქოს დღემდისაც გადაუწყვეტელია საკითხი ეროვნების შესახებ; ჩვენ თითქოს არც ვართ ჯერ დარწმუნებული, რომ ეროვნება აუცილებელი საჭიროებაა. თუ გაცხარებულნი შევყვირებთ მომძლავრებელთ და დამამცირებელთ, ცოტა დამშვიდების შემდეგ ჰამლეტისებურად ვეკითხებით ჩვენს თავს: ყოფნა თუ არ ყოფნა? განა შესაძლებელია ასეთი ამბები, ჩვენ რომ ნათელი ეროვნული თვითშეგნება და გარკვეული გზა გვქონდეს, როგორიცაა მაგალითად ჩვენ მიერ დედაენის უპატივცემულობა, შეურაცხყოფილის სტუმრად მოპატიჟება, განდგომილის დაჯილდოვება და დახარისხოვნება?

თუ ეროვნული არსებობა აუცილებელია, მას უნდა ემსახურებოდეს სავსებით, მთელის არსებით, უდრეკლად ყოველი ჩვენი საზოგადო დაწესებულება, სკოლა, თეატრი, ეკლესია, ხელოვნება, მეცნიერება, წიგნი, გაზეთი, სახლი და ტაძარი. ყოველივე უნდა იყოს სასტიკად ეროვნული, რადგან მხოლოდ მაშინ შესძლებს თავის დანიშნულების შესრულებას, უნდა ემსახურებოდეს ეროვნების შენახვას და განმტკიცებას, რადგან გარეშე ეროვნებისა მისი არსებობა უაზროა და უმიზნო. სამწუხაროდ, ამის მსგავსს ვერაფერს ვხედავ ჩვენს საზოგადოებაში და ბევრი ჩვენი საზოგადო დაწესებულება ჩვენისავე წყალობით ემსახურება ჩვენს დაცვას კი არა, არამედ გადაგვარებას, და რომელიც ემსახურება ეროვნულს აზრს, მისი გზაც უსწორმასწოროა, გაუბედავი, და მუშაობა სუსტია, ნაყოფი მცირე.

უსისტემობა, უგეგმობა დამახასიათებელი თვისებაა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მაგრამ არსადაა ისე თვალსაჩინო ეს ნაკლი, როგორც ჩვენს ეროვნულ-ეკონომიურ მოღვაწეობაში. როგორ უნდა მოეწყოს ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობა, სასოფლო მეურნეობა, რა გზით უნდა განვითარდეს ჩვენებური წარმოება, როგორ უნდა გაუმჯობესდეს ჩვენი ქონებრივი მდგომარეობა, რა საშუალებით უნდა დავაღწიოთ თავი დღევანდელს სიღატაკეს—ყველა ეს საკითხი სრულიად გამოურკვეველი და გადაუჭრელია ჩვენთვის. მართალია, შეგნება და აზრი არარაისგან ვერრას შეჰქმნის, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ განვითარება ნიშნავს შეგნების გაძლიერებას ისტორიაში, შეუგნებელ ბრმა ძალების ადამიანის მიზნის სასარგებლოდ მოწყობას. ამიტომ ჩვენც შეგვიძლიან ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის, არსებულ ქონებრივ პირობების, სოციალურ და ეროვნულ მდგომარეობის მიხედვით ისეთი საშუალება და გზა ავირჩიოთ, რომელიც უკეთესად და უფრო მალე დააწინაურებს ჩვენს ერს ეკონომიურად. ხოლო ამ გზის ასარჩევად საჭიროა დაკვირვებითი შესწავლა ჩვენი ხალხის ქონებრივი ცხოვრებისა და ეკონომიურ-ეროვნულ გეგმის შემუშავება. საუბედუროდ ამ მხრით ჯერ თითქმის არა გაკეთებულა რა ჩვენში...

**სიტყვა.**

# სახალხო სახლის ქართული საქმე

პარასკევს, 9 აგვისტოს, მოხდა საგანგებო კრება, რომელზედაც დამატებითი არჩევნების დროს გამგეობის წევრად კვლავ არჩეულ იქმნა ყველა ის ძველი წევრნი, რომელნიც მომხდარ ინციდენტის გამო იძულებულნი გახდნენ ყუთის დადგმაზე უარი ეთქვათ. ამგვარად დამატებითი არჩევნების დროს გამგეობის წევრებად კიდევ აირჩიეს: ე. მესხისა, ქ. ჯაფარიძე, ა. ბებურიშვილი, გრ. აბელიშვილი და აგრეთვე: რაქვიაშვილი, ქოსაშვილი და ა. რამიშვილი. ამით მოისპო ის განხეთქილება, რომელიც ჩამოვარდა წრეში და რომელმაც მშვენიერ დონეზე დაყენებული საქმე კინაღამ არ იმსხვერპლა. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ აზრს და ვუსურვებთ წრეს შემდეგშიაც ისეთსავე მხნეობას და ენერგიულ მუშაობას, როგორიც წარსულ სეზონში.

შეიძლება ზოგიერთმა ჩვენი სიტყვები ისე გაიგოს, რომ ჩვენ მხოლოდ ძველი წევრების კვლავ ამორჩევას ვესალმებით. სრულიადაც არა! კარგად გვესმის, რომ ყოველივე საზოგადო დაწესებულებაში ხან ერთი შემადგენლობის გამგეობა ან საბჭო იქნება, ხან მეორე. ამისათვის წრეს არავინ არას ეტყოდა და არც გაჰკიცხავდა. მაგრამ, როდესაც ოპოზიციამ ძველი გამგეობა გაჰკიცხა მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ინტელიგენტებია, და მხატვრული პიესები მშვენივრად მოაწყო, ჩვენც ხმა ამოვიღეთ გამგეობის იმ ძველ წევრთა დასაცავად, რომელთა უმრავლესობა სწორედ ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი არიან.

ასეა თუ ისე, უყურადღებოდ ვსტოვებთ ყველა იმ უსამართლო საყვედურს, რომელიც „თანამედროვე ქვეყანამ" ჩვენ გვიძღვნა სრულიად უსაფუძვლოდ, და აღვნიშნავთ მხოლოდ იმ საქმის კეთილდღეობას, რომელსაც მუშებსა და მშრომელ ხალხისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ინტერესს შეადგენდა აგრეთვე ისიც, რომ დაგვეცვა ასეთ საქმის სათავეში მდგომნი საუკეთესო და გამოცდილი პირნი, რომელთა მოღვაწეობამ დაგვანახვა, თუ რა დიდი ამაგი მიუძღვით მათ სახალხო წარმოდგენების საქმის კარგად დაყენებაში. ვიმეორებთ ამ პირთ ჩვენთან არაფერი საერთო იდეურის მხრივ არა აქვთ, პირიქით ისინი იმათი თანამოაზრენი არიან ვინც ჩვენ გვისაყვედურებდა მათ დასაცველად გამოსვლას. მაგრამ ჩვენ ისე არ დავბრმავდებით, რომ ხალხისათვის კარგი არ დავაფასოთ, იქნება ეს ჩვენი თანამოაზრისა, თუ მოწინააღმდეგის გაკეთებული.

კვლავ სიხარულს გამოვსთქვამთ ამ უსახელოვნო ინციდენტის მოსპობის გამო და ვიმედოვნებთ, რომ შემდეგში აღარ განმეორდება პირად ანგარიშებზე და ინტრიგებზე აღმოცენებული ინციდენტები.

კრებაზე, სხვათა შორის, არჩეული იყო კომისია, რომელსაც მიენდო ინტრიგებისა და ინციდენტის მიზეზების გამოკვლევა და მათი მოსპობა. კომისიაში შედიან: პ. გელეიშვილი, მამულაიშვილი, ქარცივაძე, კიკვაძე და საძიშვილი. ცხადია, რომ კომისიის წევრნი სექციის კეთილდღეობაში დაინტერესებულნი არიან და ყოველ ღონისძიებას იხმარებენ ინციდენტის ყოველ მხრივ და მიუდგომლად გამოსარკვევად. რასაკვირველია მაშინ წრეში არ დარჩებიან ის პირნიც, რომელთაც კინაღამ არ ჩამალეს საუკეთესოდ დაყენებული სახალხო საქმე.

**კორდელი.**

# მუშათა ცხოვრება

## ბაქო.

◆ ქალაქის გამგეობის და ქალაქის რკინის გზის გამგე კომისიის შეერთებულმა კრებამ განიხილა ქალაქის ტრამვაის მუშების მოთხოვნილება. შეერთებული კრება თანაგრძნობით მოეკიდებია მოთხოვნილებას და ბევრი მათგანი დასაკმაყოფილებლად უცვნია. ხოლო რაც შეეხება მოთხოვნილების ფინანსიურ ნაწილს გადაუწყვეტია ამის შესახებ საკითხი აღძრას ქალაქის საბჭოში.

◆ ბალახანა-საბუნჩის პოლიცეიმეისტერის მოხსენებით „ვოტანის" მექანიკურ ქარხნის მუშების მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნა, რის გამოც მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

◆ ამავე მიზეზით გაიფიცნენ პეტერსონის და ტერტერიანცის ქის სათხრელ საიჯარადრო სახელოსნოს მუშები.

◆ ბალახანა-საბუნჩის პოლიცეიმეისტერის მოხსენებით 6 აგვისტოს გაიფიცა 240 კაცი, მუშაობას შეუდგა 1640 კაცი.

◆ რადგანაც სრულიად, ან ნაწილობრივ, იქმნა დაკმაყოფილებული მოთხოვნილება, მუშაობას შეუდგნენ შემდეგი სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების გაფიცული მუშები: 1. ტერ-იოანესიანისა და ტერ-გრიგორიანცის ქვაბების სამჭედლოში; 2. „მოტოვილიხის" სამრეწველოში 3. ათაბეგოვი—ვართანოვი და ამხ." მექანიკურ სახელოსნოში, 4. შეინის მექანიკურ ქარხანაში; 5. „აპშერონის" იჯარით ქის მთხრელ სახელოსნოში. 6. „სევერის" მექანიკურ ქარხანაში, 7. სარუხანოვ-კურინის საზოგ." სამრეწველოში, 8. პოლოს ბეკოვის მექ. ქარხ. 9. „ბაქოს ნავთის მრეწველთა საზოგად". მე-40 უბანში. 10. „ევროპის ნავთის ამხ." სამრეწვ. 11. ნურიჯანოვის სამრეწველოში.

◆ ბაქოს საპოლიცემეისტროში მუშაობა დაიწყო: 1. იუზბაშევის სამრეწვ". 2. მანთაშევის სამრეწვ. 380 კაცმა; 3. ძმ. რილსკების „ღუზა და რწმენა"-ს სამრეწველოში.

## პეტერბურგი.

◆ დამცველ განყოფილების განკარგულებით გაჩხრიკეს და დააპატიმრეს თერძთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის წევრი მ. ვიბორნოვი.

◆ იმავე განყოფილების განკარგულებით გაჩხრიკეს და რამოდენიმე წიგნი წაიღეს ხის დამუშავებელთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის წევრის პ. მიხაილოვისაგან.

◆ გარმანოვა-ხაბაროვისას სპილენძის ქარხანაში გაიფიცნენ მუშები. მოთხოვნილება ეკონომიურია.

◆ ბ. მორის სათერძოში მომუშავეებმა მოთხოვნილება წარუდგინეს სახელოსნოს პატრონს.

◆ ვოლკოვის სახელოსნოს მუშებმა ქირის მომატება მოითხოვეს.

◆ რადგანაც მუშათა გაზეთის „სევერნაია პრავდის" ყოველი ნომერი დაჭერილი იყო გამოშვებისთანავე, რედაქტორმა მიჰმართა ბეჭდვითი საქმის კომიტეტს და სთხოვა აეხსნა გაზეთის ნომრების დაკავების მიზეზი. კომიტეტს განუცხადებია: მიზეზი არის ის, რომ გაზეთში ცნობები მოგვყავთ სახაზინო ქარხანა-სამრეწველოების გაფიცვის შესახებ. ამის შემდეგ „სევერნაია პრავდა" გამოვიდა და გაფიცვის შესახებ არა ეწერა-რა, მაგრამ—ნომერი მაინც დაიჭირეს.

# ილიკო ქურხული

ვის არ უნახავს ჩვენში ეზო-ეზო მოსიარულე ჯამბაზები, სალტომარტალისტები, მეარღნეები და სხვა. უმრავლესობა ამათგანი ღარიბია, რომელნიც ტანჯვა-წვალებით აგროვებენ მაყურებელთაგან გადასროლილ ორიოდე გროშს და ამით ირჩენენ თავს: ასეთი გამრთობელნი მაყურებლებში სიბრალულს იწვევენ ხოლმე. რასაკვირველია, მათი მხრით წმინდა ხელოვნების სამსახურზე ლაპარაკი მეტია. ისინი მხოლოდ ლუკმა პურისათვის იღწვიან.

მაგრამ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იტყობინებიან, ს.-პეტერბურგის სახლების ეზოებში ამ ბოლო ხანს ხშირად შეხვდებით ინტელიგენტ ახალგაზდას, სკრიპკაზე საუცხოვო დამკვრელს, რომელიც „ეზოს ხალხს" თავისი საუცხოვო მუსიკით ატკბობს და ბევრში თვალზე ცრემლს იწვევს. მაგრამ ეს ცრემლი არ არის ცრემლი მისდამი სიბრალულისა, არამედ იგი გამოწვეულია იმ ღრმა გრძნობით, რომელსაც ყოველი მსმენელის გულში იწვევს ახალგაზდას მუსიკა. სპეციალისტებს მოუსმენიათ ამ ახალგაზდის დაკვრა და უთქვამთ, რომ იგი დიდი ნიჭის პატრონი უნდა იყოს და მომავალი მას „ვირტუოზის" სახელს უმზადებსო.

მკითხველები შეგვეკითხებიან, თუ რამ აიძულა ეს ახალგაზდა დაეტოვებინა გზა მომავალის სახელისა და დიდებისა და ეზო-ეზო ეარა? როგორც ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს იგი არაფერს არ აუძულებია; მხოლოდ ხალხში წმინდა ხელოვნების გავრცელების იდეიამ იმდენად გაიტაცა, რომ თავისი სკრიპკით ქუჩაში გამოიყვანა. ძნელი წარმოსადგენია მეოცე საუკუნეში წმინდა იდეის ასეთი უსასყიდლო სამსახური!.. მაგრამ ყოფილან კიდევ ისეთნი პირნი, რომელიც წინააღმდეგს გვიმტკიცებენ.

ეს ახალგაზდა გახლავთ ტომით ქართველი **ილიკო ქურხული**.

იგი დაიბადა ტფილისში. პირველად აქვე დაიწყო მუსიკალური სწავლა სამუსიკო სასწავლებელში, სადაც 1½ წელი დაჰყო, მაგრამ ტფილისს მალე დაანება თავი და მოსკოვის ფილარმონიულ კურსებზე შევიდა, სადაც ცნობილი პროფესორის ბ. სიბოროს ხელმძღვანელობით სწავლობდა. სულ რვა წელიწადია რაც სკრიპკაზე უკრავს, მაგრამ აუტანელი პირობები შეძლებას არ აძლევდა ამ რვა წლის განმავლობაში კარგად ესწავლა. იგი თავიდანვე გატაცებული იყო ოცნებით, რომ მდაბიო ხალხში შეეტანა წმინდა ხელოვნება. გაევრცელებინა წმინდა კლასიკური მუსიკა. მას თანამოზიარე არავინ ჰყავდა. ჯერ არ უნდოდა დაეწყო თავის იდეის განხორციელება, რადგანაც ელოდა სწავლის დამთავრების შემდეგ ამ ასპარეზზე გამოსვლას. მაგრამ თითონ ცხოვრებამ აიძულა იგი. 1912 წლის აგვისტოს რიცხვებიდან დაეწყო თავისი იდეის განხორციელება. „ბირჟევაია ვედომოსტში" აღწერილია **უვაროვის** მიერ დაწყებული საქმე: „მასა ჰსურდა დაეწესებინა საზოგადოება „ბაიათების საზოგადოება," რომელიც წმინდა მუსიკას ატარებდა ხალხში". ამ გაზეთში ილიკო ქურხულის შესახებ ნათქვამი იყო, რომ იგი მიმდევარია უვაროვის იდეისაო. მაგრამ უვაროვმა ვერაფერი ვერ გააკეთა და იდეიაც ვერ განახორციელა. ილიკომ არამც თუ უვაროვის სახელი, არამედ იმის იდეის შესახებაც პირველად შარშან სექტემბერში ჩვენის კომპოზიტორის დ. არაყიშვილისაგან გაიგო. გაიგო თუ არა უვაროვის იდეის შესახებ, ილიკომ მოისურვა მასთან ერთად მუშაობა და პეტერბურგისაკენ გაემართა. მაგრამ ილიკომ დაინახა, რომ უვაროვის მოქმედება მისი იდეის განხორციელება არ იყო. უვაროვი შეუდგა პირდაპირ საზოგადოების დაარსებას, რომელიც ხალხში გაავრცელებდა ნაციონალურ მუსიკას. ილიკოს კი ჰსურს ხალხს გააცნოს კლასიკური მუსიკა. ამისათვის მას ჯერ ცხოვრებაში შეაქვს ინტელიგენტ მუსიკოსების ეზო-ეზო სიარული და როცა ეს განხორციელდება, მაშინ სწადიან ყველას ერთად შეერთება და მათი ერთ საზოგადოებად გადაქცევა, რომელსაც „ილიკოს საზოგადოება" ერქმევა. ძლიერ ბევრ დაბრკოლებას ხვდება ილიკო თავის იდეის განხორციელების დროს. მას ხან მეეზოვეებთან უხდება ჩხუბი, ხან პოლიციელებთან, რომელიც ნებას არ აძლევენ სახლების ეზოში სიარულისას და დაკვრას. მაგრამ იდეით გატაცებული დაბრკოლებას არ უშინდება და მიდის წინ... აი როგორ სწერს გაზეთი „დენი" (1913 წლ. 25 ივლისის ნომერში) ილიკოს. „პეტერბურგის ეზოებში მოგზაურობს მეოცნებე... იგი გაიტაცა ხალხის მდაბიო ნაწილში წმინდა მუსიკის გავრცელების იდეამ, ყველა დაბრკოლებას ლახავს და გადადის ეზოდან-ეზოში თავისი სკრიპკით; ყველგან ჰკრავს სულიერად—მშიერ ხალხს, რომელიც გაფაციცებით ისმენენ ამაღელვებელ მელოდიას. ილიკო ქურხული ერთიან მიეცა საქმეს. იგი სცხოვრობს იმ გროშებით, რომელსაც მისი უღარიბესი აუდიტორია აწვდის; თუმცა ადვილად შეეძლო ხელოვნებას იერარხიაში გაცილებით მაღლა შესულიყო, რომ „სუფთა მსმენელთათვის" დაკვრა მოესურვებინა. ილიკო ხალხისათვის მუშაობს, მაგრამ სწამს, რომ მისი მუშაობა გააღვიძებს იმ მთვლემარე მუსიკალურ მოღვაწეების ენერგიას, რომელთათვისაც ძვირფასია ფართო მასის მუსიკალურ

ტეხცილები მოჰყვა, ორთავეს მიმოსვლის გაცხოველება, დაარსება ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის. აშენდა ქალაქები, დაბები, გაჩაღდა საქარხნო მრეწველობა და საზოგადოებამ ფერი იცვალა. მართლაც მე-XIX-საუკუნე მე-XVII—XVIII საუკუნოებთან შედარებით წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების აღორძინების ხანას, ხანას განახლებისას. პირვანდელი კულტურა—ველურ ხალხის შემოსევით გადარჩენილი—კვლავ იფურჩნება, ემბრიონად არსებული ძალა ღვივდება და მე 40—50 წლებიდან—ვორონცის ხანიდან შესამჩნევ ძალად იქცევა. ამნაირად აღსდგა ქართული მწიგნობრობა, ლიტერატურა, ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, თეატრი, ვაჭრობა, მრეწველობა და მთელი ცხოვრება ამნაირად იღებს, ევროპიულ ცხოვრების ხასიათს. აღორძინებულ ცხოვრების წიაღში თან და თან მაგრდება მწარმოებელი ძალები, გლეხ-კაცობისა და ქალაქის მუშების ბანაკში ღვივდება განათლების სიყვარული, ლიტერატურა მათ მიჩქმალულ ინტერესებს ანვითარებს და ამ რიგად წარმოიშვის მთელი მოძრაობა. ეს მოძრაობა მე-40 წლებში ძლიერდება და კავკასიის უმაღლესი მთავრობა იძულებული ხდება გლეხთა საკითხს ყურადღება მიაქციოს და ცხოვრებაში შეღავათიანი წესები გაატაროს. მე-60 წლებში საქმე კარგად ეწყობა, საქართველოს მოძრაობის ტალღას უერთდება რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობაც. აქედან 1861 წელს წარმოიშვა შესანიშნავი 21 თებერვლის აქტი. 1864 წელში ოფიციალურად ჩვენშიაც განთავისუფლებულ იქმნა გლეხ-კაცობა ბატონ-ყმობის წესებიდან, რამდენიმე საუკუნეებში მონა-ადამიანი სულს ითქვამს და ხდება ნამდვილი მოქალაქე. ამიერიდან ცხოვრებაში გაბატონდა არა ყმა და მიწა, არამედ პროლეტარი და კაპიტალი, თავისუფალი მუშა და საწარმოო თანხა. მთელი ცხოვრება ამ ძალების ურთიერთობის განხორციელებაა, რაცა ნიშნავს კაპიტალიზმს.

ამ განახლებულ ეკონომიურ ცხოვრებას ფრიად ფხიზლად შეხვდა არჩილ ჯორჯაძე. მისთვის აშკარაა, რომ ფეოდალური ხანა შეიცვალა კაპიტალისტურზე, რომელიც იწვევს ცხოვრებაში კაპიტალიზმის დამახასიათებელ ტენდენციებს. სანამდის კაპიტალიზმი უჩინარი იყო, ან უკეთ, სანამ ის სუსტი იყო, ჩვენი საზოგადოება მას ვერ ხედავდა სათანადოდ და ამიტომ სხვა და სხვანაირად აფასებდა მას. ზოგი კაპიტალიზმის თვით შესაძლებლობასაც არ სცნობდა, ზოგი ფიქრობდა ერთბაშად გადამხტარიყო სოციალიზმის ხანაში. ამ შემთხვევაში ჩვენი საზოგადო მოღვაწეები მსხვერპლი იყო იმ შეცდომისა, რომელიც მე-50 წლებში მოუვიდა კარლ მარქს, რომელიც მაშინ შესაძლებლად სცნობდა გერმანიის პირდაპირ სოციალისტურ ხანაში გადასვლას. სხვა და სხვა შეხედულების შორის გამარჯვება ხვდა მესამე დასელებს, რომლებმაც თავიანთი შეხედულება კაპიტალიზმზე ეგნატე ნინოშვილის საფლავზე კონკრეტიულად ჩამოაყალიბეს. როგორ ეხებოდა ჯორჯაძე დასელთა კონცეპციას? ჯორჯაძე თავის ნაწერში გარკვეულად ამბობს, რომ კაპიტალისტურ ცხოვრების განვითარების და მის ტენდენციის შესახებ „სიმართლე სილიბისტრო ჯიბლაძისა და მის ამხანაგებისაკენ იყო. ბატონ-ყმობის განთავისუფლების და მოქალაქობრივი წყობილების დამყარების შემდეგ, ჩვენი ცხოვრების ტენდენცია სწორედ რომ ამ ხასიათისა იყო. ოთხმოცდა ათ წლამდე იგი ბუნდოვანად სჩანდა. იმ დროს კი, როდესაც რკინის გზები გაიყვანეს ჩვენს მხარეში, მადნეულობისა და ნავთის წარმოება დაიწყო, როდესაც ჩვენს სოფელში, თვით გლეხ-კაცობაშიაც კი დიფერენციაციის ნიშნები დაეტყო და რომ ქალაქებშიაც წვრილი ვაჭრებმა მოიკიდეს ფეხი, ტენდენცია კაპიტალისტურ განვითარებისაკენ აშკარა გახდა და მისი არ დანახვა ჰნიშნავდა ჩვენი ცხოვრების ნიშნობლივი თვისებების არ დანახვას. სხვათა შორის, აქ არის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ახალი დასისა, რომელმაც ეს ახალი სიტყვა სთქვა ჩვენს ცხოვრებასა და მწერლობაში" 9) ეს საკმაოდ გრძელი ამონაწერი აშკარად გვიხსნის თუ რა აზრისა ყოფილა არჩილ ჯორჯაძე საქართველოში კაპიტალისტურ წყობილების განვითარებაზე, ცხადია, რომ ის სრულად ინაწილებდა „კვალისტების" კონცეპციას ხსენებულ საგანზე. საკითხავია: განვითარებულ კაპიტალიზმს ის კერპად იხდის და ემსახურება—როგორც ამას ჩვენი დასელები ამბობენ თუ ის თავის კრიტიკულ აზროვნობას აქაც იყენებს და კაპიტალიზმს არა თუ სათაყვანებელ კერპად იხდის, არამედ იბრძვის მის მოსასპობად, როგორც ნამდვილი სოციალისტი? ავამტყველოთ აქაც ნაწერები განსვენებული ავტორისა.

მართალია არჩ. ჯორჯაძე დაეთანხმა ს. ჯიბლაძის აღსარებას, მაგრამ ეს თანხმობა ნამდვილად ჯორჯაძესებურია, ე. ი. კრიტიკული. არჩილი იღებს დასელებიდან რაც მისაღებია, რაც აშკარა და ნათელია, ხოლო რაც ჯერ კიდევ გამოურკვეველია იმის პირაღებით მიღებას უფრთხის და მოგვიწოდებს ჯერ თვით მოვლენა შევისწავლოთ. მე-XIX საუკუნის მიწურულში „პირველად გაისმა ლაპარაკი **მუშა ხალხის** შესახებ, პირველად იწყეს ლაპარაკი ამ ახლად გაჩენილ ჯერ კიდევ ნორჩ კლასის მისიაზე. თუ რაიმე ჩასაწერია ისტორიის წიგნის ფურცლებზე სწორედ ეს ახალი მოვლენაც უნდა იყოს ჩაწერილი. მაგრამ **სხვა საკითხია ამ მოვლენის განვითარების და წინსვლის საფეხურების შესწავლა და განმარტება. აქ შეგვიძლიანთ ბევრში არ დაეთანხმოთ, ბევრი რამ უარჰყოთ, მავნებლადაც აღიაროთ.**" 10) (კურსივი ჩვენია—თ. ღ.)

მესამე დასელებისათვის, რამდენადაც ჯორჯაძე კაპიტალიზმის განვითარების აღიარებაში მათ ემხრობოდა, იმდენადვე ის საინტერესო პიროვნება იყო, ხოლო რამდენადაც არჩილი კრიტიკოსი ხდება თვით „მოვლენის განვითარების და წინსვლის საფეხურების", რომელშიაც ის შესაძლებლად სცნობს „ბევრში არ დაეთანხმოს და ბევრი მავნებლადაც აღიაროს"—იმდენად ჯორჯაძე არასასურველი ძალაა, იმდენადვე ის ბურჟუაზიულად მოაზრეა. მაგრამ ჩვენ სწორედ აქ გვმართებს დაკვირვება. შეიძლება იყოთ სოციალისტი და ნამდვილი სოციალისტიც, ხოლო მარქსიზმიდან ყველაფერს არ იღებდეთ და აგრეთვე შეიძლება იყოთ მართლა შეგნებული სოციალისტი და ამავე დროს მარქსიზმის ზოგიერთი რამ მავნებლადაც მიგაჩნდეთ. მსოფლიოს მუშათა მოძრაობა გვიმტკიცებს, რომ მრავალ ქვეყნებში არიან სოციალისტური პარტიები, რომელნიც მარქსიზმს სწორედ ასე ეხებიან. მხოლოდ ჩვენში ნიშნავს მარქსიზმის კრიტიკა სოციალიზმის უარყოფას. ამ მხრით მრავალნაირად დამახასიათებელია არჩილ ჯორჯაძის აზროვნების და დასელთა ურთიერთობა. მარქსიზმის კრიტიკისათვის ჯორჯაძე მართლა რომ გოლგოთაზე იყო აყვანილი, მილიონჯერ ბურჟუად მონათლული. მაგრამ ჩვენ კვლავ მოვალენი ვართ შეგნებულად შევხედოთ საქმეს და ჯორჯაძის აზრების შესწავლით დავინახოთ: ანვითარებს თუ არა ჯორჯაძე ნამდვილ სოციალისტურ აზრებს დღევანდელ ცხოვრების დაფასებაში?

**თევდორე ღლონტი.**

---

9) ტ. II. გვ. 62—63:

10) იქვე.

განვითარების საქმე; მაგრამ ძლიერ ვერ აუყოლიებია დანარჩენებს, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ წმინდა მუსიკა შექმნილია „წმინდა მსმენელთათვის.“

დღევანდელ დამატებაში ჩვენი მკითხველები იხილავენ ილიკოს სურათს.

## ბალკანეთის მდგომარეობა

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

9 აგვისტო

**ლონდონი.** „დეილ ტელეგრაფი“ აქვეყნებს სტამბოლელ კორესპონდენტის დეპეშას, რომელიც შეიცავს მოხსენებას, ვითომც რუსის მოხელესაგან წარდგენილს, შესახებ ბულგარელებისაგან ჩადენილ სიმკაცრისა ადრიანოპოლის აღების დროს.

**პრაგა.** ჩეხების გაზეთები აღტაცებით ეგებებიან რუსეთის გამოსვლას ბულგარეთის დასაცავად. „ნაროდნი ლისტი“ ამბობს: „რუსეთი, დამნაშავის, მაგრამ საკმარისად დასჯილის დაცვით ასრულებს სლავიანთა სახელმწიფოს ვალს“.

**სოფია.** ბუქარესტს წავიდა შიკრიკი უმაღლესად დამტკიცებული ზავით.

**ათინა.** ათინის სააგენტო რწმუნებულია გადაჭრით უარჰყოფს უსამართლო და არაფერზე არ დამყარებული ხმები, ვითომც ბერძნები წინადადებას აძლევენ ოსმალებს, დაიჭირონ მათგან დატოვებული მიწა-წყალი.

**სკოპლე.** ჯარის დათხოვნის საქმე ნელა ხდება, რადგანაც ჯარისკაცნი 5 დღე კარანტინში უნდა იყვნენ. კრასნიჩეს მახლობლად, ავტონომიურ ალბანეთის საზღვარზე თავი მოიყარა 10 ათასმა ალბანელმა, სერბიისაგან და ჩერნოგორიისაგან დაჭერილ მიწა-წყლებიდან გამოქცეულებმა. მათ წინ უძღვნია გამოჩენილი ბელადები ისა ბელატინაცი, ბაირამმოზური, რიზა ბეი. ჯერ წყნარად არიან, მაგრამ კერძო ცნობებით ლაკოვოზე თავდასხმას აპირებენ. ალბანელ ბეგებთა შორის უთანხმოება არ მოსპობილა.

**ბერლინი.** საპოლიტიკო განყოფილების უფროსმა მიიღო ადრიანოპოლის მცხოვრებთა დეპუტაცია და აღუთქვა მათი სურვილის საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარისათვის გადაცემა.

**სოფია.** გაზეთი „მირ“-ი სწერს: ბულგარელების 100 სკოლაზე მეტი და აძდენივე ეკლესიები დაკეტილია სერბიელებისაგან. მოძღვარნი დ მასწავლებელნი ან მოკლულნი, ან დატყვევებულნი ან გაძევებულნი არიან. 5 ბულგარელი ეპისკოპოსი იძულებული იყვნენ წასულიყვნენ ეპარქიიდან. ყველა ეს ხათლად გვიჩვენებს, თუ როგორია სერბიელების საიდუმლო განზრახვა. ბულგარეთმა უნდა მოსთხოვოს სერბიას გაძევებულთა დაბრუნება და ეკლესიებისა და სკოლების ბულგარელ საზოგადოებათათვის გადაცემა, რადგანაც მათ თავისუფლება უნდა ჰქონდეთ მინიჭებული. თუ სერბია არ დასთანხმდა, მან სხვა ღონისძიებანი უნდა გამოძებნოს, რომ უზრუნველ ჰყოს ელემენტარული თავისუფლება თავის თვისტომთათვის. ამ შემთხვევაში მას შეუძლიან მიენდოს დიდ სახელმწიფოთ. თუ კი ალბანელებს და კუცოვლახებს მიენიჭათ უფლება ეროვნულ თავისუფლებისა, სრულიად შეუწყნარებელია, რომ ბულგარელები ძალდატანებით სერბიელებად დ ბერძნებად აქციონ.

**სოფია.** ესკოვის ქალაქის უფროსის თანაშემწე იტყობინება, რომ საღამოთი ქალაქზე გადაიარა ოსმალეთის საფრენმა მანქანამ და წავიდა ტირნოვოსაკენ და სეიმენისაკენ; ძალიან მაღლა შემოტრიალდა და სამხრეთისაკენ გაფრინდა. საფრენი მანქანის გამოჩენამ ხალხი ძალიან ააშფოთა.

**სოფია.** იუგლუკიდან გამოქცეულნი იტყობინებიან, რომ ბაშიბუზუკები კირჯალისკენ მიდიან. მათ უკან მიჰყვება მუდმივი ჯარი. გამოქცეულთ დაუნახავთ, როგორ მოუკიდეს ცეცხლი მათ სოფელს. ოსმალთა ბრბოები მახომიის მიდამოებში მოქმედებენ.

მოსული ცნობებით, სალონიკში სიკვდილ-მისჯილთა შორის არიან პატივსაცემი ბულგარელი ვაჭრები, რომელნიც მუდამ მტრულად ეპყრობოდნენ რევოლიუციას. მათ აბრალებენ ჩერნომაზევის ბრბოში მონაწილეობას. ბულგარეთმა მიჰმართა სახელმწიფოთ, რომ მათ ჩარევით ხელი შეუშალონ განაჩენის სისრულეში მოყვანას.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

9 აგვისტო.

### უცხოეთი.

**ჰალბერშტადტი.** მფრინავი მხედარი შმიდტი ჩამოვარდა 300 მეტრის სიმაღლიდან და სასიკვდილოდ დაშავდა.

**სტოკჰოლმი.** ვარჯიშობის დროს ჯავშნიანი გემი დაეჯახა სამხედრო ნავს, რომელიც მაშინვე დაიძირა.

**ზაგრები.** კომისარ სველრაშას ჭრილობა დაუჩირქდა და ამიტომ ოპერაცია გაუკეთეს. მდგომარეობა საკმაყოფილო აქვს.

**მადრიდი.** გაზეთის ცნობებით რაისულს უნდა თავს დაესხის კასუსტაკოლორადოს და ცეტუა-ტეტუანის მიდამოების სიმაგრეებს.

**ედინბურგი.** სუფრაჟისტ ქალებმა ცეცხლი გაუჩინეს ბირჟის მაკლერის სახლს და სკოლას.

**ნანკინი.** მეამბოხეთა სარდალმა გერმანიის ელჩს ბარათი გაუგზავნა და არწმუნებს, რომ გერმანიის სამხედრო გემმა ესროლა ზარბაზანი მეამბოხეთა სიმაგრეებსაო, ამიტომ სარდალი იმუქრება, რომ სროლას აუტეხს გემსაც და საელჩოსაც. გერმანიის ელჩმა გემის უფროსის თანხმობით უპასუხა მეამბოხეთა სარდალს, რომ გერმანიის გემს არ უსროლია ზარბაზანი მეამბოხეთათვის და პროტესტს უცხადებს მუქარისათვის.

**ბერლინი.** მოვიდა ადრიანოპოლის დელეგაცია.

**ვაშინგტონი.** ვილსონმა განაცხადა, რომ დაუყონებლივ მიჰმართავს კონგრესს ბარათით შესახებ ლინდის მისიისა და შესახებ შეერთებულ სტატების მექსიკისადმი განცხადების და საპასუხო განცხადების გაგზავნისა.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა დაიჭირა გაზ. „სევერნაია პრავდა“ № 7 და „ახალი მუშათა გაზეთი“ № 2.

**ჰელსინგფორსი.** ცენტრალურ სასტატისტიკო ბიუროს გამოკვლევით 1912 წ. ფინლანდიიდან გადასახლებულა, უმეტეს შემთხვევაში ამერიკაში, 10.724 კაცი.

**ვილნა.** სამოსამართლო პალატამ მოსპო ემიგრანტებისათვის ყალბი საბუთების მიხედვით პასპორტების მიცემის საქმე, რომელმაც 1909 წელს დიდი ლაპარაკი გამოიწვია.

**სევასტოპოლი.** მათი იმპერატორობით უდიდებულესობა მობრძანდა შვილებითურთ.

**პეტერბურგი.** საზღვარ-გარეთიდან ბაჟ-გადაუხდელად ნავთის შემოტანა შეიძლება უმაღლესად დამტკიცების დღიდან ე. ი. 1914 წ. 1 იანვრიდან. გზათა სამინისტროს განზრახული აქვს გაჰმართოს ახალი შარა-გზები ავტომობილების სასიარულოდ მოწყობილი. სულ განზრახული 49 ახალი შარა-გზა, 15 ათასი ვერსის მანძილზე 250 მილიონ მან. ღირებული. მიწათ-მომწყობ უწყებას მიეცა 352 ათასი მ., სასოფლო-სამეურნეო თანდან. სულ მიცემული აქვს 2 მილიოხინი და 33.569 მან.

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ა. ჭუმბაძე.**

საბუღალტერიო და საკანცელარიო ცოდნათა
კ უ რ ს ე ბ ი,
**არსებული ტფილისის პირველ საკომერციო სასწავლებელთან ორივე სქესისათვის** (მე-XIV წ. არს. შემ.).
კურსებზე ასწავლიან: ბუჰგალტერიას ორმაგ იტალიურ სისტემით, მრეწველობის სხვა დ სხვა ნაწილის შესაფერისად; კომერციულ კორესპონდენციას, სავაჭრო უფლებას, კალიგრაფიისა დ მსურველთ საბეჭდ მანქანებზე ბეჭვდას, **სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს 1913 წ.** სწავლა გაგრძელდება არა ნაკლებ ექვსი თვისა მეცადინეობა კვირაში სამჯერ იქნება, საღამოობით. **სწავლის ფასი სულ 40 მან.** თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზედ მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში დილის 10 ს.—1 საათამდე. 1420

ექიმ ნაგებსარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, გარდა კვირისა.**
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
**შ. ა. ნაგებსარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ტაბახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
**კ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **შ. ა. ნაგებსარდიანი.**
1004

**ექიმი ა. შ. მიქელაძე**
15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

**ექიმი გ. მუსხელიშვილი**
1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**გონორრეის (სუსუნაკის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:**
„SALO—პიჩილინ“.
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და **ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.** **აგრეთვე კარგად მოქმედებს მეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.**
დეპო: Петербургъ, разъѣзжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფოსტით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება სააფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების საწყობში.
Метиль 22238. 1038

ფეხსაცმელები
თომა დ ჯანჯარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში,
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი:
**საკუთარი დ პეტერბ.**
მეხანიკური ნაწარმოები. 527

საბუღალტრო კურსები
გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა
ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით
სამკურნალო
[illegible] [illegible]
აბანო
მერთგასხი მთის ჭაერზე
ძმ. ურუშაძეების
აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას
ოქროს მედალი ოქროს მედალი
1385

Золотая медаль.
Золотая медаль.
ПОХВАЛЬНЫЙ ОТЗЫВЪ за ВСЕРОССІЙСКУЮ ВЫСТАВКУ
ВЪ Н.НОВГОРОДѢ въ 1896 г.

შ პ ა ლ ი ე რ ი
მოსკოვის საქარხნო საწყობისა
ვლადიმერ ალპატოვისა
GRAHD-PRIX
ო. მ. უნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნოა 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

СТОЛОВОЕ ВИНО
Юбилейное
300
Т/Д. БР. СЕСІЕВЫ и Ко
ВЪ ТИФЛИСѢ

1078
საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის
„პატოკსან“.
**„პატოკსან“** შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.
**„პატოკსან“** საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე.
**„პატოკსან“** ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგად ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.
**„პატოკსან“** ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და ღლიური ნაწველიც გაადიდოს.
**„პატოკსან“** ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საჭმელში.
**„პატოკსან“** თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.
ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“. 1384.

მიტროფანე ლაღიძის და ამხ.
ფრიად სასიამოვნო სასმელი და ჯანმრთელობისათვის მარგებელი საამური გემოსი და სურნელების ხილეული, სამკურნალო და მინერალური
წ ყ ა ლ ი
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით
**გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.**
**რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად დაბალ ღირსების წყალს აწვდიან პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი, უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსახურობს ზედ-წარწერით;**
„М. ЛАГИДЗЕ“.
**ქარხნები:** ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411.
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.
1214

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
სავაჭრო ცოდნათა კურსები
ც. მ. ფილოთიანისა,
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. № 976.
**სპეციალური სავაჭრო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:
**საგნები:** ა) სავალდებ.: 1) ბუჰგალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო დ საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) **სტენოგრაფია.** 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.
მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება **15 ენკენისთვიდან.** პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424

თ. ა. მთავრიშვილის
წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა
ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი
სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,
რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.**
მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმისტარები, კარადაშები, საანგარიშო დავთრები** და სხვა, რასაც ძალიან დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან: **ადრესი:** ქუთაისი. ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიის სახლი, ბულვართან, **თ. მთავრიშვილი.**
1413

შპალიერების МАГАЗИНЪ М.Л. ТЕРЪ-КАРАПЕТЯНЦА ОБОЕВЪ
სპეციალური მაღაზია
მ. ლ. ტერ-კარაპეტიანცისა,
**ახლად გახსნილი (პუშკინის ქ., თამამშევის ქარვასლა).**
ახლად მიღებულია საქონელი სხვა და სხვა **რუსეთის, პოლონეთის და ფინლანდიის** ცნობილ ფაბრიკებიდან. თოფი 8 კ.-დან დაწყებული და უფრო ძვირად ზომით (11¼ არშ.) გაყიდვა ნაჭრობით და ერთბაშად. შეკვეთილ საქმის ასრულება სწრაფად და სუფთად. 1415

ს ო რ ა პ ა ნ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად, მეოთხე ახალი გამოცემა, სახელმძღვანელო წიგნი, ნაწ ლი პირველი.
„ქართველი მწერლები“
შედგენილი ივ. გომელაურის მიერ. ფასი 80 კაპ.
ამ წიგნის მეორე გამოცემა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწავლებლებში სახმარებლად ნება-დართულია.
იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის მეორე ნაწილი სახელმძღვანელო წიგნი „ქართველი მწერლები“ ფ. 1 მან. 30 კაპ.
პარტიობით მყიდველებს შეუძლიანთ მოითხოვონ შემდეგი მისამართით: Тифлисъ Типографія „Сорапань“, ანუ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას ქ. ტფილისში. 1417

ცინკოგრაფია წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა [illegible] ყოველგვარ კლიშეების დამზადებას
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.
ტფილისი ბანკის დიდი ქუჩა, № 12. ✱ Тифлисъ Бол. Банк. ул. № 13
1009

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი,
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა ქიტკა
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დღეში, იანი, შიპა, ზურგიელები, სხვა ყოველნაირი თევზეულობა და
კონსერვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 7[illegible]

მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.